

უაკ 348.96: 222.1: 347.62

კანონი ცოლ-ქმრული ერთგულების დაცვის შესახებ ძველებრულ
რჯულში. ფიცი-ორდალი
ია ხახუბია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია:

ძველადმოსავლურ კანონმდებლობაში ფიცი და ორდალი მეტად გავრცელებული მოვლენა იყო. მოსეს რჯულში მას რამდენჯერმე ვხვდებით. ერთ-ერთი მათგანი ცოლ-ქმრული ერთგულების დაცვას ემსახურებოდა, რომელიც ერთდროულად შეიცავდა ფიცს და ორდალს.

ფიცი-ორდალის კანონში საუბარი იყო ქალზე, რომელიც უცხო მამაკაცთან განმარტოვებაში იყო შემხნეული, რის გამოც ქმარს ერთხელ უკვე მიცემული ჰქონდა შენიშვნა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცოლმა ეს რჩევა არ გაითვალისწინა და იგივე საქციელი კვლავ გაიმეორა. კანონმდებელი ეჭვით აღძრული ქმრისაგან შესაწირად ტაძარში ქერის ფქვილის მიტანას იტხოვდა. ორდალის შესასრულებლად ტაძარში მისულ ცოლ-ქმარს, მღვდელი სამსხვერპლოს ახლოს დააყენებდა. კანონი წმინდა წყლის მდიდრული ლითონის ჭურჭლიდან თიხის უბრალო ჭურჭელში გადმოღებას ითხოვდა, რათა პროცედურა სადღესასწაულო იერს მოკლებული ყოფილიყო. მასში ყრიდნენ ასევე ტაძრის ნიადაგიდან აღებულ მიწას, რომელიც იყო ნიშანი იმისა, რომ ადამიანი მიწიდან შეიქმნა და მიწადვე მიიქცეოდა. ორდალის პეოცედურის მიხედვით მღვდელი წყევის სიტყვებს ჯერ სიტყვიერად წარმოთქვამდა, შემდეგ კი გრაგნილზე წერდა: თუ ნალაატევი გაქვს შენი ქმრისთვის, ღმერთმა საზარელ სიკვდილს მიგცეს, ხოლო თუ უდანაშაულო ხარ არაფერი დაგიშავდება და სამომავლოდ ვაჟიშვილი შეგეძინება. შემდეგ მღვდელი წყევის ტექსტს პერგამენტზე დაწერდა და წმინდა წყლით გადარეცხავდა. ქალი მიღებულ სიტხეს დალევდა და თუ დამნაშავე იყო, მალე იგი საშინელი ავადმყოფობით დაავადდებოდა, ხოლო თუ ქმრის წინაშე სუფთა სინდისი ჰქონდა მალე ვეი შეეძინებოდა. ან კანონმა ძვ.წ.აღ.-ით 330 წლამდე იარსება, მაგრამ ებრაელ ერში ბერძნული კულტურის გავრცელების შემდეგ მოქმედება შეწყვიტა.

საკვანძო სიტყვები: ფიცი, ორდალი, განქორწინება, ოჯახის სიწმინდე, დანაშაული.

ძველადმოსავლურ კანონმდებლობაში ფიცი და ორდალი მეტად გავრცელებული მოვლენა იყო. მოსეს რჯულში მას რამდენჯერმე ვხვდებით. ერთ-ერთი მათგანი ცოლ-ქმრული ერთგულების დაცვას ემსახურებოდა, რომელიც ერთდროულად შეიცავდა ფიცს და ორდალს.

რიცხვნი თავი 5:12-31

- (12) ... თუ ვინმეს ცოლი შეცდება და უღალატებს თავის ქმარს,
(13) ვინმე დაწვება მასთან თესლის მიღვრით და ეს დაფარული იქნება მისი ქმრის თვალთაგან, ქალი კი მალულად წაბილწულია, მაგრამ მოწმე არ ყოფილა და არ წაუსწრიათ.
(14) ქმარს ეჭვი შეიპყრობს და იეჭვიანებს თავის ცოლზე, რომელიც წაბილწულია, ან ეჭვი შეიპყრობს და იეჭვიანებს თავის ცოლზე, რომელიც წაბილწული არ არის.

- (15) მიიყვანოს ქმარმა თავისი ცოლი მღვდელთან და მიიტანოს მისი გულისთვის შესაწირავად მეთედი ეფა ქერის ფქვილი; ზეთი არ დაღვაროს ზედ და არც გუნდრუკი დაადოს, რადგან ეჭვიანობის შესაწირავია, დახსომების შესაწირავი, უკეთურების დასახრომებელია.
- (16) მიიყვანს ქალს მღვდელი და დააყენებს უფლის წინაშე.
- (17) იღებს მღველი წმინდა წყალს თიხის ჭურჭლით და მიწას სავანის ნიადაგიდან, აიღებს ამას მღვდელი და წყალში ჩაყრის.
- (18) დააყენებს მღვდელი ქალს უფლის წინაშე და თავს გაუშიშვლებს ქალს, მუჭში ჩაუდებს დახსომების შესაწირავს; ეს ეჭვიანობის შესაწირავია. ხოლო მღვდელს ხელში ექნება მწარე წყალი დამაწყევარი.
- (19) დააფიცებს მღვდელი ქალს და ეტყვის მას: თუ არავინ დაწოლილა შენთან და არ შეუცდენიხარ და არ წაბილწულხარ შენი ქმრისთვის, არას გავნებს ეს მწარე წყალი დამაწყევარი.
- (20) ხოლო, თუ უღალატე შენს ქმარს და წაბილწული ხარ, ვინმეა ნაწოლი შენთან ქმრის გარდა,
- (21) დააფიცებს მღვდელი ქალს წყევის ფიცით და ეტყვის მას: უფალმა მიგცეს წყევას და ფიცს შენს სახლში, რომ საზარდული დაგიდნეს და მუცელი გაგისივოს,
- (22) შევიდეს ეს დამაწყევარი წყალი შენს ნაწლავებში, რომ გაგისივდეს მუცელი და დაგიდნეს საშო. იტყვის ქალი: ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად!
- (23) დაწერს მღვდელი ამ წყევლას გრაგნილზე და მწარე წყლით გადარეცხავს.
- (24) დააღვეინებს ქალს მწარე წყალს, დამაწყევარს და შევა მასში დამაწყევარი წყალი გამამწარებლად.
- (25) გამოართმევს მღვდელი ქალს ეჭვიანობის შესაწირავს, შეარხევს ამ შესაწირავს უფლის წინაშე და მიიტანს სამსხვერპლოზე.
- (26) აიღებს მღვდელი პეშვით ამ შესაწირავიდან გამახსენებელ ნაწილს და დაწვავს სამსხვერპლოზე; მერე წყალს დააღვეინებს ქალს.
- (27) დააღვეინებს წყალს და თუ წაბილწულია და ნაღალატევი აქვს ქმრისათვის, შევა მასში დამაწყევარი წყალი გამამწარებლად და გაუსივდება მუცელი და დაუდნება საშო. შეიქმნება ეს ქალი დასაწყევლი თავის ხალხში.
- (28) თუ არ არის წაბილწული და სუფთა იყო, ვნება არ მოუვა და განაყოფიერების უნარი შერჩება.
- (29) ეს არის ეჭვიანობის რჯული, როცა ქალი უღალატებს თავის ქმარს და წაბილწება
- (30) ან როცა ქმარს შეიპყრობს ეჭვიანობის სული და იეჭვიანებს თავის ცოლზე. დააყენოს თავისი ცოლი უფლის წინაშე და მღვდელი მოექცევა მას რჯულის თანახმად.
- (31) ქმარი გათავისუფლდება დანაშაულისაგან და ამ ქალს დაეკისრება დანაშაული.

”თორის” მიხედვით სიტყვა ”კიდუშინ” ცოლის ქმრისადმი მიძღვნას, მიკუთვნებას ნიშნავს. ამ სიტყვას მეორე მნიშვნელობაც გააჩნია - განსპეტაკება, განწმენდა. რჯულის მიხედვით ქალისა და მამაკაცის ცოლ-ქმრული კავშირი წმინდად, შეურყვნელად ითვლებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ამ კავშირის დარღვევა კანონით გათვალისწინებული იყო განქორწინების ძალით, ეს უკანასკნელი მაინც უკიდურესად არასასურველად ითვლებოდა. თუმცაღა, კავშირის შენარჩუნებას მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, თუკი შენარჩუნებული იქნებოდა მთავარი-სიყვარული.

ფიცი-ორდალის კანონში საუბარი იყო ქალზე, რომელიც უცხო მამაკაცთან იყო განმარტობაში იყო შემჩნეული, რის გამოც ქმარს ერთხელ უკვე მიცემული ჰქონდა

შენიშვნა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცოლმა ეს რჩევა არ გაითვალისწინა და იგივე საქციელი კვლავ გაიმეორა.

“თორა” აშკარად კიცხავდა ქალის ამგვარ ქცევას, თუმცა ორივე მეუღლეს აძლევდა საშუალებას, შეემოწმებინათ ერთმანეთის ერთგულება და სიყვარული. გარდა ამისა, ეს კანონი ოჯახის შენარჩუნების საშუალებასაც იძლეოდა, რომელიც სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, დანგრეულიყო კიდევ. კანონის მიხედვით ქალს ფიცით უნდა დაეფიცა, რომ მისი საეჭვო ქმედებისა, არასოდეს უღალატია ქმრისათვის. ქალი ორდალის საშუალებით გამოიცდებოდა და მისი სიტყვების ჭეშმარიტება სწორედ ამ გამოცდის ძალით დადასტურდებოდა. დასაფიცებლად ქალი ტაძარში უნდა მისულიყო, სადაც ყველა სიცრუე განკრთებოდა. აქ მას მღვდელი სპეციალურად შეზავებულ წყალს შეასმევდა, რომელსაც “მწარე წყალი დამაწყევარი” ერქვა. ეს სითხე სავანეში არსებული წმინდა წყლის, სავანის მიწის და მწარე ბალახის ნაზავს შეადგენდა. ამ წყლით გადაირეცხებოდა წყევლა, რომელიც გრაგნილზე იყო დაწერილი და ქალს დასალევად მიეცემოდა. თუ ქალი უდანაშაულო იყო, მას უფლის წყალობა მიეცემოდა და შემდგომში ვაჟიშვილი შეეძინებოდა. მაგრამ თუ მრუში იყო, მსწრაფლგანვითარებადი საშინელი სენი შეიპყრობდა და საზარელი სიკვდილით მოკვდებოდა.

“თორის” კანონით, ებრაელ მამაკაცს ნებისმიერ დროს შეეძლო ცოლთან განქორწინება. მითუმეტეს მაშინ, თუ ქალის ქცევაში ქმარი რაიმე საეჭვოს აღმოაჩენდა. ზოგ მამაკაცს, შესაძლოა, ეჭვიანობის ნიადაგზე სიმართლის გარკვევის სურვილი აღარ გამოეჩინა და ცოლთან დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განქორწინებულიყო. ასეთ დროს საჭიროდ აღარ მიიჩნეოდა ქალის ტაძარში წაყვანა და ორდალის მიღება. თავის მხრივ, ქალსაც შეეძლო უარი ეთქვა ამგვარ დამამცირებელ გამოცდაზე. თავმოყვარე ცოლს, შესაძლოა, ქმრის უსაფუძვლო ბრალდება უდიდეს შეურაცხყოფად მიელო და თავად ეთქვა უარი გამოცდაზე. ასეთ დროს, შესაძლოა, წყვილი განქორწინებულიყო. მაგრამ თუ ცოლ-ქმარი განქორწინებას არ ჩქარობდა და ორდალის მიღებას ამჯობინებდა, ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ მათ ოჯახის შენარჩუნება სურდათ. ცოლის გამართლების შემთხვევაში ამ პროცედურით ღალატის ეჭვი საბოლოოდ აღმოიფხვრება და ოჯახში კვლავ სიმშვიდე დაისადგურებდა. ქალისათვის კი თავისი წინდაუხედავი ქმედება, სამომავლოდ ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილად იქცეოდა.

ფიცი-ორდალის შესახებ კანონი შემდეგი სიტყვებით იწყება:

“თუ ვინმეს ცოლი შეცდება, უღალატებს თავის ქმარს”, ანუ ქალის საქციელი ქმარს საეჭვოდ მოეჩვენება... ზმნა “სოთა” (შეცდენა) ქალდევურ ენაზე ჭეშმარიტი გზიდან გადახვევას, გზიდან აცდენას ნიშნავს. მაგრამ, თუკი სიტყვა “სამეხ”-ის ფუძეს შევცვლით ძირით “სინ”, რომელიც ზუსტად ისევე იკითხება, როგორც “სამეხ”, მივიღებთ გამოთქმას, რომელიც ნიშნავს ჭკუიდან გადასვლას, ჭკუიდან შეცდენას. მამასადაძმე, გამოთქმა გულისხმობდა: თუკი ვინმე ჭკუიდან გადასული, გადავიდოდა ჭეშმარიტ გზას და უღალატებდა თავის ქმარს... “თორის” სწავლულებმა ამ ორი ზმნის ჟღერადული დამთხვევით შემდეგი დასკვნა დაასაბუთეს: ადამიანი დანაშაულს არ ჩაიდენდა მანამ, ვიდრე იგი არ აღივსებოდა სულელი სულით, რომელიც მას გონებას დაუბნელებდა. “თორის” სწავლულებმა მოცემული კანონი თავიანთ ტრაქტატში შეიტანეს, სახელწოდებით “სითა”, თუმცაღა, მათი აზრი ორად გაიყო. ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ საკმარისი იყო ერთი მოწმე, რომელიც დაინახავდა, როგორ განმარტოვდა ქალი უცხო მამაკაცთან, შემდეგ კი ამის შესახებ ქმარს შეატყობინა. მეორე ნაწილი სწავლულებისა კი ამტკიცებდა, რომ აუცილებელი იყო ორი, ან მეტი მოწმის ჩვენება, როგორც ამას რჯული სხვა შემთხვევების დროს ითვალისწინებდა.

კანონი არასოდეს ამართლებდა მეუღლის მიმართ ეჭვიანობის ისეთ ფორმას, რომელიც ქალისათვის ღირსების შემლახავი და დამამცირებელი იქნებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე. ვერანაირი ეჭვიანობა ვერ გაამართლებდა მზგავს საქციელს. ზემოთქმულ მუხლში ნახსენებია ფრაზა: “იეჭვიანებს თავის ცოლზე”, შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ქმრის მომთხოვნი დამოკიდებულება ცოლის მიმართ, რომელიც არასოდეს უნდა გადასულიყო ეტიკეტის ფარგლებს. “თორის” სწავლულთა აზრი ორად გაიყო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოვლენად უნდა შეფასებულიყო თვით ეჭვიანობის ფაქტი, დადებით როლს თამაშობდა იგი, თუ უარყოფითს?! ამასთან დაკავშირებით კანონში საყურადღებოა შემდეგი ფრაზები: “როცა ქმარს შეიპყრობს ეჭვიანობის სული და იეჭვიანებს თავის ცოლზე რომელიც წაბილწულია (30) და კიდევ: “ეჭვი შეიპყრობს და იეჭვიანებს თავის ცოლზე რომელიც წაბილწული არ არის” (14). აქ აშკარად გამოიკვეთება კანონმდებლის ორი ვარაუდი: 1) როცა ეჭვიანობა რეალური საფუძვლიდან მომდინარეობს, ანუ “იეჭვიანებს თავის ცოლზე, რომელიც წაბილწულია” და 2) როცა ეჭვიანობა რეალურ საფუძველსაა მოკლებული, ანუ “იეჭვიანებს თავის ცოლზე რომელიც წაბილწული არ არის”. რა არის მიზეზი ამ ორი შემთხვევის ასე განსაკუთრებით დაკონკრეტებისა?! პირველი შემთხვევა გასაგებია: უფლის წინაშე ღირსეულ ქმარს, შესაძლოა, ეჭვიანობა ღვთის წყალობად ჰქცეოდა, რადგან უღირსი ცოლის სამარცხვინო საქციელისაგან დაეფარა. სწორედ ამ მიზნით მოუვლენდა უფალი “ეჭვიანობის სულს” მამაკაცს და განაშორებდა მისგან ორგულ მეუღლეს. მაგრამ, მეორე შემთხვევაში, როცა ეჭვიანობა ფუჭი იყო და წარსულში ღალატს ადგილი არ ჰქონია, შესაძლოა ღმერთმა, როგორც გულთამხილველმა, განჭვრიტა ქალის გულში სამომავლო ღალატი და წინასწარ მოუვლინა ქმარს “ეჭვიანობის სული”, რათა ცოლისათვის ჯერ კიდევ დაუგეგმავი უკეთური ჩანაფიქრი აღეკვეთა. ამით უფალი მოვლენებს წინ უსწრებდა, რათა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ოჯახის სიმყარე გაედრმავებინა, და ქალი ცდუნებაში აღარ ჩავარდნილიყო.

კანონმდებელი ეჭვით აღძრული ქმრისაგან შესაწირად ტამარში ქერის ფქვილის მიტანას ითხოვდა. “თორის” განმმარტებელთა აზრით, ფიცი-ორდალის ეს მუხლი, შემთხვევით როდი მოსდევდა კანონებს, რომლებიც მღვდლებისათვის მიძღვნილ შესაწირავს ეხებოდა, (მიზეზ-შედეგობრივი სისტემატიზაცია). კანონთა ამგვარი თანამიმდევრობა იმით იყო განპირობებული, რომ, თუ კაცი ძუნწი იყო და მღვდლებს თავისი ნებით არაფერს სწირავდა, ცოლზე ეჭვიანობის დროს მაინც იძულებული იქნებოდა, მღვდელთან ძღვნით მისულიყო. თავის მხრივ ეს შესაწირი ქალის მიერ შეწირულ ძღვნადაც მიიჩნეოდა, რომელიც იყო ერთგვარი განაცხადი: გამოეცადათ იგი ფიცი-ორდალით, რათა მისი უდანაშაულობა დამტკიცებულიყო.

საგულისხმოა, რომ კანონმდებელი ასეთ დროს რჯულში არსებული შესაწირავის ზოგადი წესიდან გადაუხვევდა და ჩვეულებისამებრ, წმინდად დაფქული პურის ფქვილის ნაცვლად (რომელსაც “სოლეთ” ეწოდებოდა), ქერის შესაწირავს ითხოვდა, თანაც ზეთის და გუნდრუკის გარეშე. რით იყო ეს განპირობებული?! კანონმდებელმა ამით ქერის ფქვილი ცოლის შესაძლო ღალატის სიმბოლოდ აქცია. რეალურად, შესაძლოა ქალს არც კი შეუცოდავს მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი ქმედება მაინც შორს იდგა კეთილგონივრული ქცევისაგან, რამეთუ მან თავისი პატიოსნება საეჭვოდ გადააქცია. რაც შეეხება ზეთსა და გუნდრუკს; ისინი სადღესასწაულო შესაწირავის სიმბოლოებად მიიჩნეოდა და ძღვენს სასიხარულო იერს ანიჭებდა. რადგან მოცემული შემთხვევა ძალზე შორს იდგა სადღესასწაულო ვითარებისაგან, სწორედ ამიტომ იკრძალებოდა მათი შეწირვა. ქერის ფქვილი კი მიანიშნებდა იმას, რომ თუნდაც ქალს

ქმრისათვის არ ეღალატა, ეჭვიანობა, რომელიც მის ქარაფშუტულ ცხოვრებას მოჰყვა, ქალს მაინც დამნაშავედ, პირშერცხვენილად ცნობდა.

ორდალის შესასრულებლად ტაძარში მისულ ცოლ-ქმარს, მღვდელი სამსხვერპლოს შორი-ახლოს დააყენებდა, სადაც მსხვერპლად შეწირულ ცხოველთა შიგნეულობა იწვებოდა ხოლმე. იერუსალიმის ტაძარში კი ეს ადგილი აღმოსავლეთის კარიბჭესთან მდებარეობდა. “აიღებს მღვდელი წმინდა წყალს თიხის ჭურჭლით და მიწას სავანის ნიადაგიდან, აიღებს ამას მღვდელი და წყალში ჩაყრის” (17), კვლავ გვამცნობს კანონი ირდალის პროცედურის თანამიმდევრიბის შესახებ.

წმინდა წყალი, როგორც წესი, ტაძარში ლითონის ჭურჭელში, სამსხვერპლოსთან ახლოს იდგა. სწორედ ამ წყლით იბანდნენ მღვდლები ხელებსა და ფეხებს მსახურების წინ. კანონი წმინდა წყლის მდიდრული ლითონის ჭურჭლიდან, თიხის უბრალო ჭურჭელში გადმოღებას ითხოვდა, რათა პროცედურა სადღესასწაულო იერს მოკლებული ყოფილიყო. სავანის ნიადაგიდან (ან ტაძრიდან) აღებული მიწა კი იყო ნიშანი იმისა, რომ ადამიანი მიწიდან შეიქმნა და მიწადვე მიიქცეოდა (შესაქმე თავი 3:9). იერუსალიმში ტაძრის აგებამდე, აღთქმის კიდობნის კარავში, იატაკი მიწისა იყო და იქიდან ერთი მუჭა მიწის აღება სირთულეს არ წარმოადგენდა. როდესაც იერუსალიმში ტაძარი აიგო, სადაც იატაკი ფილებით იყო დაფარული, საგანგებოდ ერთი ფილა მჭიდროდ არ იყო ჩამაგრებული მიწაში, საჭიროების შემთხვევაში ორდალის დროს ფილას ასწევდნენ და მიწას იქიდან ამოიღებდნენ.

კანონის მე-18 პუნქტი გვამცნობს: “დააყენებს ქალს უფლის წინაშე...” მაგრამ მე-16 პუნქტში ხომ ნათქვამია, რომ მღვდელმა ქალი უფლის წინაშე უკვე დააყენა?! (“მიიყვანს მღვდელი ქალს უფლის წინაშე და დააყენებს” (16)). მეცნიერთა აზრით, ეს გამეორება იმას ნიშნავდა, რომ ქალს აქეთ-იქით მანამ დაატარებდნენ ვიდრე იგი არ დაიქანცებოდა და თავგზა არ აებნეოდა. ასეთ მდგომარეობაში მისი გამოტყვვა უფრო იოლი იქნებოდა.

ჩვენი აზრით, მე-16 და მე-18 პუნქტების ტექსტური თანხვედრა სულ სხვა მიზეზით იყო გამოწვეული. ეს ნიშნავდა არა ქალის დასაბნევად აქეთ-იქით ტარებას, როგორც ამას მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ამტკიცებს, არამედ იმას, რომ ამ პუნქტებში გამოცემული აზრი მხოლოდ ფორმალურად ჩანს ერთნაირი. სინამდვილეში მათ სხვადასხვა იდეური დატვირთვა გააჩნდათ. ჩვენი აზრით, მე-16 პუნქტში არსებული ფრაზა: „უფლის წინაშე დააყენება“, ნიშნავს იმას, რომ მღვდელი თავის საქციელს თავად კი არ გამოუტანდა განაჩენს, არამედ უფალს მიანდობდა განსასჯელად. წმინდა წერილის სხვა მონაკვეთებშიც ხშირად ვხვდებით გამონათქვამებს: „მიიტანა სამართალი უფლის წინაშე“, ანდა „უფალი თავად განსჯის“. ფრაზა მე-16 პუნქტშიც სწორედ ამგვარ ზოგად ხასიათს შეიცავს: „მიიყვანს ქალს მღვდელი და უფლის წინაშე დააყენებს“, ანუ განაჩენის გამოსატანად ღმერთს მიანდობს. როდესაც მოსამართლენი ისეთ მძიმე დანაშაულზე მსჯელობდნენ, რომელიც რჯულის მიხედვით დამნაშავეს სასიკვდილო განაჩენს უქადდა, მსაჯულები ვალდებულები აყვნიან თავდაპირველად ბრალდებულისათვის დანაშაულის აღიარების საშუალება მიეცათ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა მღვდლის შემდეგი სიტყვები: „დააფიცებს მღვდელი და ეტყვის მას: თუ არავინ დაწოლილა შენთან და არ შეცდენილხარ და არ წაბილწულხარ შენი ქმრისათვის ...” (19) ისმის კითხვა: რა მოხდებოდა მაშინ, თუკი ქალი ორდალის მსვლელობის დროს ნებით აღიარებდა მრუშობის დანაშაულს? ასეთ შემთხვევაში კანონი მას სასიკვდილო განაჩენისაგან იხსნიდა. რჯული ამ დროს მხოლოდ განქორწინებას ითვალისწინებდა და ქალის სიცოცხლეს არანაირი საფრთხე აღარ ემუქრებოდა. ორდალის მსვლელობა შეწყდებოდა

და დანაშაულში საკუთარი ნებით მხილებული ქალი მხოლოდ ქმართან განქორწინებით დაისჯებოდა. ერთი მცირე დეტალის გათვალისწინებით: საქორწინო ხელშეკრულებაში მითითებული თანხა, რომელიც განქორწინების შემთხვევაში ქალს უნდა მიეღო, გაყრისას მას აღარ მიეცემოდა. ისმის კითხვა: რატომ? ნუთუ ბრალის აღიარება იმდენად ამსუბუქებდა ქალის მიერ ჩადენილ დანაშაულს, რომ აღიარების გარეშე სიკვდილისათვის განწირული ქალი, აღიარების წყალობით მხოლოდ განქორწინებით ზარალდებოდა?! ვფიქრობთ, პასუხი ერთია: თუ ქალს ნაღალატევი ჰქონდა, მაგრამ ამის მიუხედავად არ შეუშინდებოდა ღვთის რისხვას და ორდალზე კადნიერად დათანხმდებოდა, ამით იგი მხოლოდ მრუში კი არა ურწმუნო, ღვთისმგმობელი და ღვთისუარმყოფელი იყო, რადგან ვარაუდობდა: გამოცდას არაფერი ევნო. ამით მას ეჭვი შეჰქონდა ღვთის სიტყვაში და მამასადამე თავად ღმერთშიც. ამიტომაც, პირველ რიგში, სწორედ ღვთის უარყოფისთვის დაისჯებოდა იგი საზარელი სიკვდილით და მხოლოდ მას შემდეგ მრუშობისათვის. თუმცა...ღმერთი, როგორც კაცთმოყვარე მამა თავისი შვილებისა, ზრუნავდა, რათა მრუშობის ცოდვით დამძიმებული მისი ასული, თავისი სიჯიუტით, ღვთის გმობამდე მაინც არ მისულიყო და ამიტომ, დრო მიეცა ცოდვის აღიარებისათვის. სანაცვლოდ, მას ხელშეკრულებას და სიცოცხლის შენარჩუნებას ჰპირდებოდა. სწორედ ამას ემსახურებოდა მღვდლის მიერ პროცედურის ნელა და აუჩქარებლად ჩატარება, რადგან ყოველი გაჭიანურებული წუთი, შესაძლოა, ქალისათვის სიკვდილისაგან გადარჩენის კიდევ ერთი შანსი ყოფილიყო. კვლავ დავუბრუნდეთ ორდალის მსვლელობას... კანონში წერია, რომ “მღვდელი თავს გაუშიშვლებს ქალს” (18). ისრაელში, როგორც წესი, პატიოსანი ებრაელი ქალი ხალხში მხოლოდ თავდაბურული დადიოდა. ებრაელი ქალის კაბის სარტყელიდან მკერდის მიმართულებით ქსოვილი ორივე (მარჯვენა და მარცხენა) მხრიდან გასხნილი იყო და გულმკერდს არტახისებრად ეკვროდა, რომელშიც თავსაბურავის ბოლოები ეყრებოდა. აქედან ჩანს, რომ ებრაელი ქალისათვის თავსაბურავის ტარება, იმდენად აუცილებელი იყო, რომ ტანისამოსიც კი მანდილის გათვალისწინებით იკერებოდა. ორდალის პროცედურაში ქალის თავის მოშიშვლებას, ნაწნავების ჩამოშლაც ემატებოდა, რაც კიდევ უფრო ხაზგასმულს ხდიდა გათხოვილი ქალის გასაკიცხ ქმედებას. პროცედურის ეს ნაწილი ისრაელიანი ქალიშვილების ერთგვარ გაფრთხილებას ნიშნავდა: სამომავლოდ არ მოეხადათ მანდილი, ანუ არ გამხდარიყვნენ გასაკიცხნი. ორდალის პროცედურაში მღვდლის მიერ ქალისათვის თავსაბურავის მოხდა მისადმი მიწერილ ბრალდებას ნიშნავდა. თუნდაც მას ნაღალატევი არ ჰქონდა, ასეთი ქალი მზგავს დამამცირებელ მდგომარეობაში ჩაყენებას მაინც სამართლიანად იმსახურებდა: ქალი დამნაშავედ ითვლებოდა მრუშობაში თუ არა, ქარაფშუტობაში მაინც.

ორდალის პროცედურის მიხედვით, მღვდელი წყევის სიტყვებს ჯერ სიტყვიერად წარმოთქვამდა, შემდეგ კი გრაგნილზე წერდა: “უფალმა მიგცეს წყევას და ფიცს შენს ხალხში, რომ საზარდული დაგიდნეს და მუცელი გაგისივოს” (21). შემდეგ კი აგრძელებს: “შევიდეს ეს დამაწყევარი წყალი შენს ნაწლავებში, რომ გაგისივოს მუცელი და დაგიდნოს საშო...” (24). ერთი შეხედვით, თითქოს კვლავ ვხვდებით კანონში პუნქტების გამეორებას. ის, რაც წერია 21-ე პუნქტში, მეორდება 22-ე-ში. ეს გამეორება თითქოს მცირე, უმნიშვნელო განსხვავებით ხდება. 21-ე პუნქტში ნათქვამია, რომ დამნაშავეს უნდა დაუდნეს მუცელი და საზარდული, ხოლო 22-ე პუნქტში “დამაწყევარი წყალი” დამნაშავეს მუცლისა და საშოს დადნობით ემუქრება. ჩვენ ვემხრობით ვერსიას, რომლის მიხედვითაც ამ ორი პუნქტიდან მხოლოდ 22-ე პუნქტი ეხება მრუშ ქალს, პირველი კი ეხება მამაკაცს, რომელთანაც ქალმა იმრუშა. სწორედ ამიტომაც ნახსენები 21-ე პუნქტში მუცელი და საზარდული (რომელიც ძველ აღთქმაში

გენიტალიებს მოიაზრებს) და არა მუცელი და საშო, როგორც ეს 22-ე პუნქტშია ნათქვამი. ასე რომ, ორდალი მხოლოდ მრუმ ქალზე კი არ მოქმედებდა, არამედ იმ მამაკაცზეც, რომელთანაც ქალმა იმრუშა.

წყევლის წარმოთქმის შემდეგ ქალი ორჯერ გაიმეორებდა: “ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად!” ანუ “ამინ! ამინ!”. საერთოდ სიტყვა “ამინ!” ნიშნავს ვინმეს გამონათქვამზე თანხმობას, კვერის დაკვრას, ანდა საკუთარი ნებით გამოთქმული ლოცვა-კურთხევის კიდევ ერთხელ დადასტურებას, რომელიც მთქმელს გულით სურს რომ აუსრულდეს. თუკი ვინმემ ფიცით სხვას მიმართა და დამოწმება მოსთხოვა: დამიფიცე, რომ ასე და ასეაო, ის კი უპასუხებს სიტყვით: “ამინ!” ითვლება, რომ ფიცი მიღებულია, და ტექსტის თავიდან გამეორება საჭირო აღარ არის. როგორც წესი, რჯულის მიხედვით სიტყვა “ამინ” ორჯერ არ მეორდება, თუ არ არსებობს ამის უკიდურესი აუცილებლობა. ამოტომ, ორდალის მსგელობის დროს ამ სიტყვის ორჯერ გამეორება გარკვეულ განმარტებას საჭიროებს. განმარტებელთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ფიცში ორჯერ წარმოთქმული სიტყვა “ამინ” იმით იყო გამოწვეული, რომ მღვდლის მიერ წარმოთქმული პირობა ორ განცხადებას შეიცავდა, რომელიც ქალს სათითაოდ უნდა დაემოწმებინა: 1) მე არ მიღალატია ჩემი ქმრისათვის მაშინ, როცა მოწმეებმა დამინახეს უცხო მამაკაცთან განმარტოებული და 2) სხვა დროსაც, თუკი ოდესმე ვყოფილვარ მამაკაცთან პირისპირ, მე არ მიღალატია ჩემი ქმრისთვის.

ჩვენი აზრით, გასაზიარებელია ის ვარაუდი, როდესაც განმარტებლები, მღვდლის მიერ წარმოთქმულ პირობაში ორ განცხადებას მოიაზრებენ, რომელთა დამოწმება ქალს სათითაოდ სჭირდებოდა. თუმცა ვფიქრობთ, თავად ეს ორი დამოწმება ზემოთქმულიდან განსხვავებულ ორ სხვა პირობას შეესაბამება. პირველი სიტყვით “ამინ!” ქალი გამოხატავდა მზადყოფნას მიეღო საკუთარ თავზე ფიცის ორივე პირობა: 1) არაფერი ევნო დამაწყევარ წყალს, თუკი ის უდანაშაულო იყო და 2) შეეპყრო სასიკვდილო სენი, თუკი ქმრისათვის ნაღალატევი ჰქონდა.

ორდალის მომდევნო საპროცედურო მოქმედება იყო წარმოთქმული წყევლის გრაგნილზე დაწერა: “დაწერს მღვდელი ამ წყევლას გრაგნილზე და მწარე წყლით გადარეცხავს” (23). გრაგნილზე წყევლის დაწერის შემდეგ მღვდელი მას “დამაწყევარი წყლით” გადარეცხავდა. როგორც წესი, უფლის სახელის წაშლა (წარწერის განადგურება) რჯულის მიხედვით სასტიკად იკრძალებოდა. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ღმერთი ავალდებულებდა კიდევ მღვდელს ასე მოქცეულიყო რათა ადამიანებისათვის დაენახებინა, თუ რარიგ მნიშვნელოვანი იყო ცოლ-ქმარს შორის არსებული სიყვარული და ერთგულება და რომ ასეთ დროს, თვით უფლის წმინდა სახელის წაშლა-არწაშლის საკითხი, მეორე პლანზე გადაინაცვლებდა. სწორედ უფლის სახელის წაშლა ანიჭებდა წყალს სასწაულებრივ ძალას.

პერგამენტის წყალში მოთავსების შემდეგ, მღვდელი ხსნარს რაიმე ბალახს ჩაუმატებდა, რომელიც წყალს მწარე გემოს შესძენდა. “დამაწყევარი წყალის” მწარე გემო, სიმბოლოურად უპირისპირდებოდა იმ ტკბილი ღვინის გემოს, რომელიც შესაძლოა მოღალატე ქალმა და მისმა საყვარელმა, ერთმანეთთან განმარტოვების დროს მიირთვეს.

ვიდრე გრაგნილზე უფლის სახელის აღმნიშვნელი სიტყვა წყლით გადაირეცხებოდა და ქალადი წყალში გალღვებოდა, ქალს უკანასკნელად ეძლეოდა საშუალება სიმართლე ელიარებინა და უარი ეთქვა “დამაწყევარი წყლის” მიღებაზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც წარწერა წაიშლებოდა და გრაგნილი გალღვებოდა, წყლის დაღვევაზე ქალის უარი აღარ მიიღებოდა, ქალს წყალს ძალით დააღვევინებდნენ.

ვიდრე ქალი წყალს დაღვევდა, მღვდელი კიდევ ერთ რიტუალს ასრულებდა: იგი შესაწირად მიტანილ ფქვილს “შეარხევდა”. იგი ჯერ ზეასწევდა შესაწირს, შემდეგ კი

ქვემოთ დაუშვებდა, კვლავ ზეასწევდა შესაწირს, და ისევ ქვემოთ დაუშვებდა, ასე მეორედბოდა რამდენჯერმე. ზემოთ და ქვემოთ შესაწირის გადანაცვლება, ცისა და დედამიწის დამოწმებას ნიშნავდა. დამოწმებას იმაში, რომ სწორედ ცა, დედამიწა და მათში მყოფი ყველა და ყველაფერი მოწმე ყოფილიყო ჭეშმარიტების გამომჟღავნებისა. ქალი და მღვდელი ერთად ასრულებდნენ "შერხევის" რიტუალს, რომელიც ღვთიური შუამდგომლობის გამოხატულება იყო, სადაც ქალი საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობდა, მღვდელი კი-ოჯახის სიწმინდის დაცვას.

თუ ქალი დანაშაუდ იყო, მასში მალე თავს იჩენდა სწრაფად პროგრესირებადი დაავადება (სავარაუდოდ ონკოლოგიური) და ყველა მოწმე გახდებოდა მისი საზარელი სიკვდილისა. მაგრამ თუ ქალი არ იყო წაბილწული, მას ვნება არ მიადგებოდა. გამოცდა მის უდანაშაულობას დაამოწმებდა. უფალი ასეთ ქალს წყალობას ჰპირდებოდა, იმის სანაცვლოდ რა დამცირებაცა და სულიერი ტანჯვაც განიცადა, წყალობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ქალს მალე ვაჟიშვილი შეეძინებოდა.

რჯულის მიხედვით, მამაკაცს, რომელიც ფიცით გამოცდას მიმართავდა, მხოლოდ მაშინ ეძლეოდა უფლისაგან ჭეშმარიტი პასუხი, თუ თავად იყო სუფთა ცოლის წინაშე. უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც: ქმარს ცოლის მიმართ ეჭვის აღძვრისთანავე ეკრძალებოდა მასთან ფიზიკური სიახლოვე, ვიდრე ფიცით გამოცდის რიტუალი არ შესრულდებოდა. ამგვარად, ფიცით გამოცდა შედეგს ორ შემთხვევაში არ გამოიღებდა: 1) თუ ქმარი რიტუალამდე ცოლთან ინტიმურ კავშირს არ შეწყვეტდა 2) თუკი სრულწლოვანებიდან მოყოლებული, მას ჩადენილი ჰქონდა უბიწოების შემლახველი თუნდაც უმნიშვნელო დანაშაული, როგორცაა ოჯახის წევრებში არასწორი ინტიმური მოქმედებების არდანახვა, არშემჩნევა, ყურის წაყურება. ამ ორ შემთხვევის დროს. ქმარს უფლება აღარ ჰქონდა ცოლი "დამაწყევარი წყალით" გამოეცადა. ქმრებს ინტიმურ საკითხებში არავითარი უპირატესობა არ გააჩნდათ. ისინი ისევე აგებდნენ ღვთის წინაშე პასუხს, როგორც მათი ცოლები.

მვ.წ.აღ-ით 330 წლებიდან, როდესაც ებრაელებში ელინისტურმა კულტურამ იწყო გავრცელება, ფიცი-ორდალი გაუქმდა, ვინაიდან "დამაწყევარი წყალით" გამოცდა მხოლოდ მაშინ იძლეოდა შედეგს, როდესაც თავად ქმარი გამოირჩეოდა უზადო ერთგულებით. ელინიზმმა იმდენად იმოქმდა ებრაელი ერის ყოფაზე, რომ ქმრის მიერ ცოლის ღალატი უკვე ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. მამაკაცის ერთგულება კი ორდალის ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო, პირობა რომელიც ყოველ ნაბიჯზე ირღვეოდა, ამიტომ ორდალის ეს კანონი პრაქტიკულად გაუქმდა.

მეცნიერთა შორის დავის საგანს წარმოადგენს კანონის ბოლო პუნქტი: "ქმარი გათავისუფლდება დანაშაულისაგან და ამ ქალს დაეკისრება დანაშაული". მეცნიერთა ერთი ნაწილი საკითხს შედარებით მარტივად უდგება და ამტკიცებს, რომ ეს სიტყვები შემდეგი აზრის მატარებელია: თუ ქალი დამაწყევარ წყალს მიიღებდა და ფარული მრუმობის გამო მასზე წყევა მოიწეოდა, ქმარს მის სიკვდილში თავი არ უნდა დაედანაშაულებინა, რომ ცოლის სიკვდილი მისი არცთუ უსაფუძვლო, მაგრამ მაინც ეჭვიანობის შედეგი გახდა. ქმარი ასეთ დროს უდანაშაულოდ ითვლებოდა. ქალისათვის მომაკვდინებელი სენი, მისი დანაშაულის საზღაური იყო.

მეცნიერთა მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, რომ ზემოთქმული ფრაზა გულისხმობდა შემდეგს: თუ ქმარი თავად იყო ცოლის მოღალატე, მაშინ ორდალით გამოცდა აღარ მოქმედებდა და შედეგს აღარ გამოიღებდა, ანუ "ქმარი გათავისუფლდება დანაშაულისაგან". მაგრამ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ მრუმი ცოლი დაუსჯელი დარჩებოდა. მართალია ფიცით გამოცდა მრუმე ქალზე აღარ იმოქმედებდა, მაგრამ უფალი თავად დასჯიდა მოღალატე ცოლს, ანუ "ამ ქალს დაეკისრება

დანაშაული". გამოდის, რომ მრუში ცოლიცა და მრუში ქმარიც-ორივენი დაისჯებოდნენ: მრუში ქმარი დაისჯებოდა იმით, რომ ვერასოდეს გაიგებდა სიმართლეს. მრუშ ცოლს კი სასჯელს თავად უფალი მოუვლენდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველ ებრაულ რჯულში ცოლის საეჭვო ქცევა, განქორწინების უტყუარ საფუძვლად ითვლებოდა. საფუძვლად, რომლის გაქარწყლებაც თითქმის შეუძლებელი იყო. ეჭვიანობის ნიადაგზე, ქმარს უფლება ჰქონდა ქალს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განქორწინებოდა. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: თუ კი რჯული ასეთ სიმკაცრეს იჩენდა ცოლის მორალური ქცევის მიმართ, მაშ რატომღა უშვებდა კანონი ქალის გამართლების ისეთ ლიბერალურ საშუალებას, როგორც ზემოთქმული ფიცი-ორგალი იყო?! პასუხი ამგვარია: მოსეს რჯულის მიხედვით, განქორწინება იმდენად არასასურველი სოციალური მოვლენა იყო, რომ კანონმდებელი ფიცი-ორდალის დაშვებით, ეჭვქვეშ აყენებდა განქორწინების თვით იმ უტყუარ საფუძველსაც კი, როგორც ქმრის ეჭვიანობა იყო.

შეჯამების სახით გვინდა დავასკვნათ, რომ ძველებრაულ რჯულში ფიცი-ორდალი უმკაცრესი სიზუსტით სრულდებოდა, რადგან ყველა უმნიშვნელო მოქმედებაც კი უდიდესი აზრის და იდეის მატარებელი გახლდათ. მასში ყველა დატალიც კი რელიგიურ-სიმბოლური მნიშვნელობით იყო გაჯერებული. ამგვარად, მოცემული კანონის მიმართ საჭირო იყო მეტად ფაქიზი დამოკიდებულება, რასაც მკითხველი საგანგებო შეხსენების გარეშეც შეანჩნევდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "Пятикнижье и Гафтарот", д-р И.Герц, М., 1999.
2. "Пятикнижье Моисеево или Тора", проф. Брановер, М., 1993.
3. "Тора", равин Гирш, Иерусалим, 1994.
4. "Библиის ენციკლოპედია", ერთტომეული, 1997.